აკაკი თოფურიას ბინის ფონდი

ფონდი / Фонд 287 1 156

ფონდი / Фონд 287 1 შნ. ერთ. / ед. хр. 156

დასკანირებულია 16 ა 25 (21)

13.

საქ. სსრ განათლების სამინისტროში

გაზეთ „სახალხო განათლების“ მეათასე ნომრის გამოსვლასა და დაარსებიდან 20 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, პედაგოგიური გაზეთის რედაქციაში ნაყოფიერი მუშაობისა და აქტიური თანამშრომლობისათვის საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებით დაჯილდოებული არიან სამკერდე ნიშნით — „სახალხო განათლების წარჩინებული“

1. **მგალობლიშვილი ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე**—რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი;

2. **კეკელიძე მიხეილ სევერიანეს-ძე** — სასკოლო-მეთოდური განყოფილების გამგე;

3. **თოფურია აკაკი სარდიონის-ძე** — სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოებისა და უმაღლესი სკოლების განყოფილების გამგე;

4. **ცაიშვილი სოლომონ მაქსიმეს-ძე** — მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე;

5. **თაბუკაშვილი დავით ტრიფონის-ძე** — წერილებისა და კორესპონდენტთა ქსელის განყოფილების გამგე;

6. **ვარლამიშვილი ივანე გრიგოლის-ძე** — საკუთარი კორესპონდენტი ქ. ქუთაისში;

7. **ჩუბინიძე ნიკოლოზ მელიტონის-ძე** — საკუთარი კორესპონდენტი გორის რაიონში.

8. **ხოზრევანიძე ქელეშ ქამილის-ძე** — საკუთარი კორესპონდენტი ხულოს რაიონში;

9. **მიქავა ალექსანდრე ლუკას-ძე** — საკუთარი კორესპონდენტი წალენჯიხის რაიონში;

10. **ჭოჭუა მიხეილ ეპიფანეს-ძე** — საკუთარი კორესპონდენტი ოჩამჩირის რაიონში;

11. **ლორთქიფანიძე დავით ონისიმეს-ძე** — გაზეთის აქტიური თანამშრომელი;

12. **ჭანიშვილი პარმენ გიტოს-ძე** — რედაქციის ყოფილი მუშაკი;

13. **ზამბახიძე ვლადიმერ ნიკიფორეს-ძე** — რედაქციის ყოფილი მუშაკი;

14. **დადიანი ალექსანდრე ბეგლარის-ძე** — რედაქციის ყოფილი მუშაკი;

15. **თათარიშვილი ბენიამინ კალისტრატეს-ძე** — რედაქციის ყოფილი მუშაკი;

„სახალხო განათლება“, № 44, 1944 წ. 31 დეკემბერი

[illegible] კომკავშირის მეცნიერებათა მწვერვალების დაუფლების, კაცობრიობის მიერ დაგროვილი უმდიდრესი ცოდნის კრიტიკულად ათვისების, კომუნისტური ზნეობისა და მორალის აღზრდის ამოცანებს. კომკავშირის მე-3 ყრილობაზე წარმოთქმულ თავის ისტორიულ სიტყვაში, 1920 წლის 2 ოქტომბერს, კაცობრიობის დიდი გენიოსი ლენინი ამბობდა:

„ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტურად. საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“ (ლენინი და სტალინი, „ახალგაზრდობის შესახებ“, 1939 წ., გვ. 176).

„ჩვენს წინაშეა ციხე-სიმაგრე,—ამბობდა ამხანაგი სტალინი კომკავშირის მე-8 ყრილობაზე 1928 წლის 16 მაისს.—მას, ამ ციხე-სიმაგრეს ეწოდება მეცნიერება. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს. ეს ციხე-სიმაგრე უნდა აიღოს ახალგაზრდობამ, თუ მას სურს ახალი ცხოვრების მშენებელი იყოს, თუ მას სურს ძველი გვარდიის ნამდვილი შემცვლელი იყოს“ (იქვე, გვ. 255).

ამ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში ჭეშმარიტად დიდია კომკავშირის მიერ მოპოვებული წარმატებანი. კომკავშირულმა ახალგაზრდობამ ფართოდ გაიკაფა გზა საბჭოთა მეცნიერების მწვერვალებისაკენ; იგი წარმატებით ეუფლება მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგს და მთელ თავის ძალღონეს, ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

სკოლაში კომკავშირის მუშაობას საფუძვლად უდევს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებმაც დიდად შეუწყეს ხელი სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

იბრძვიან რა ამ პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის, ჩვე-

---

საქმის გადაჭრით გაუმჯობესება.